საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW MARKET SURVEILLANCE AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: 1483
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: 1483

KARR0183508264822

№ **01/19** **18 / იანვარი / 2022 წ.**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2022 წლის 10 იანვრის N3-769 წერილზე პასუხად, გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას - 2021 წლის IV კვარტალში ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის მონაცემებს. ასევე, გაცნობებთ, რომ ქიმიური უსაფრთხოების დამატებით მოთხოვნებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

2021 წლის IV კვარტალში სააგენტოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობა ადგილობრივ ბაზარზე:

1. შემოწმდა 15 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული 40 დასახელების სათამაშო. აღმოჩენილი შეუსაბამობების დადგენილ ვადებში გამოუსწორებლობის შედეგად 23 დასახელების სათამაშოზე გამოიცა დადგენილება რეალიზაციის შეჩერების შესახებ. 2 სათამაშოს შემთხვევაში აღმოჩენილი შეუსაბამობები გამოსწორდა დადგენილ ვადებში, ხოლო 15 სათამაშოს შემთხვევაში, შეუსაბამობების გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გადამოწმებისას დადგინდა, რომ ეკონომიკური ოპერატორები აღარ ახორციელებდნენ შეუსაბამო პროდუქტების რეალიზაციას.

2. ვინაიდან 2021 წლის 1 დეკემბრამდე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების რეალიზატორებისთვის განსაზღვრული იყო სარეკომენდაციო პერიოდი, რეკომენდაციები გაიცა 8 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებულ 12 დასახელების აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობასა და 2 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებულ 2 დასახელების ინდივიდუალური დაცვის საშუალებაზე.

3. შემოწმდა 20 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული 4 ტიპის სამშენებლო ბროდუქტი (თაბაშირ-მუყაო, ცემენტი, ელექტრო-კაბელი, არმატურა), რომელთაგანაც ყველამ დააკმაყოფილა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

4. შემოწმდა 4 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა - ცეცხლმაქრი. აღნიშნულ პროდუქტზე ვერცერთმა ეკონომიკურმა ოპერატორმა ვერ შეძლო შესაბამისობის დეკლარაციის წარმოდგენა. შესაბამისად, 3 შემთხვევაში მოხდა რეალიზაციის შეჩერება სააგენტოს მიერ, ხოლო ერთ შემთხვევაში ეკონომიკურმა ოპერატორმა თავად ამოიღო პროდუქტი რეალიზაციიდან, რაც დადასტურდა სააგენტოს მიერ გადამოწმების შედეგად.

დანართის სახით გიგზავნით დეტალურ ინფორმაციას, სააგენტოს მიერ 2021 წლის IV კვარტალში ადგილობრივ ბაზარზე განხორციელებული ზედამხედველობის შესახებ.

2021 წლის IV კვარტალში სააგენტოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობა საბაჟო ტერიტორიაზე:

1. 2021 წლის IV კვარტალში სულ შემოწმდა სათამაშოების 2561 იმპორტის წინასწარი შეტყობინება, საიდანაც 54%-მა ვერ დააკმაყოფილა ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები.

2. 2021 წლის პირველი დეკემბრიდან 2021 წლის IV კვარტლის ბოლომდე შემოწმდა აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების 319 იმპორტის წინასწარი შეტყობინება, საიდანაც 75,5%-მა ვერ დააკმაყოფილა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, ხოლო პირველი დეკემბრიდან კვარტლის ბოლომდე შემოწმდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების 100 იმპორტის წინასწარი შეტყობინება საიდანაც, 83%-მა ვერ დააკმაყოფილა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

3. 2021 წლის მეოთხე კვარტალში განხილულ იქნა 1779 სამშენებლო პროდუქტების იმპორტის წინასწარი შეტყობინება (ცემენტი - 315, არმატურა - 218, პლასტმასის მილი - 799, ელექტრო კაბელი - 332, თაბაშირ-მუყაო - 115), საიდანაც დადებითი პასუხი გაეცა 1541 განცხადებას, ხოლო უარყოფითი - 238-ს.

4. 2021 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის მეოთხე კვარტლის ბოლომდე განხილულ იქნა 317 განცხადება მანქანა-დანადგარების იმპორტის შესახებ, საიდანაც დადებითი პასუხი გაეცა 100 განცხადებას, ხოლო უარყოფითი - 217-ს.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მითითებული მონაცემები წარმოადგენს ატვირთული დოკუმენტაციის შემოწმების პირველად შედეგებს და იმპორტიორთა ნაწილის მიერ აღნიშნული ხარვეზები შემდგომში იქნა გამოსწორებული.

დანართი:
1. 2021 წლის IV კვარტალში შემოწმებული სამომხმარებლო პროდუქტი;
2. 2021 წლის IV კვარტალში შემოწმებული სამშენებლო და ინდუსტრიული პროდუქტები;

პატივისცემით,

სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ელენე კუტალაძე